

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის

ლელა ტალიურის ბიოგრაფია

ლელა ტალიური დაიბადა თელავში, 1982 წლის 11 იანვარს.

1999 წელს წარჩინებით დაამთავრა თელავის მერაბ კოსტავას სახელობის მეოთხე საშუალო სკოლა.

იმავე წელს სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით, 2004 წელს.

2002 და 2003 წლებში ლელა იყო თელავის რაიონული სასამართლოს სტაჟიორი.

2006-2013 წლებში იყო ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

2006 წელს მიწვეული იყო თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კითხულობდა ადამიანის უფლებებს და ინტელექტუალური საკუთრების სამართალს.

2004-2008 წლებში ლელა მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისში. 2004 წლის 1 ივლისამდე იყო საიას თელავის ოფისის კონსულტანტი იურიდიული დახმარების ცენტრში, ხოლო 2004 წლის 1 ივლისიდან 2008 წლის 1 სექტემბრამდე ასრულებდა საიას თელავის ოფისის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას.

2008 წელს ლელამ მოიპოვა დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და ესექსის უნივერსიტეტის სტიპენდია (OSI/FCO Chevening and Essex University Scholarship) და 2008-2009 წლებში სწავლა განაგრძო დიდ ბრიტანეთში, ესექსის უნივერსიტეტში. 2009 წელს ლელას მიენიჭა მაგისტრის ხარისხი (Master of Arts) ადამიანის უფლებების თეორიასა და პრაქტიკაში ამავე უნივერსიტეტიდან.

2010 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე ლელა მუშაობდა მთავარი იურისტის პოზიციაზე არასამთავრობო ორგანიზაციაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (TI-Georgia), ხოლო 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2020 წლის მარტამდე ლელა მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში საარჩევნო მიმართულებით. კერძოდ:

2015 წლიდან 2020 წლის მარტამდე ლელა იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო პროექტების კოორდინატორი, ხოლო 2010 წლის სექტემბრიდან მუშაობდა ამავე ორგანიზაციის საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების კოორდინატორად.

2020 წლის 1 ივნისიდან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაციაში „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“ საარჩევნო ექსპერტ-კონსულტანტის პოზიციაზე.

2019 და 2020 წელს ლელა ტალიურს მონაწილეობა აქვს მიღებული ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებში და განხორციელებული აქვს გრძელვადიანი დაკვირვება.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.